

(ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა	
მშენებლობა	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<ul style="list-style-type: none"> • მოამზადოს საინჟინრო განათლების საფუძვლების მქონე სამშენებლო, საპროექტო და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მშენებლობის დარგის სპეციალისტი, რომელიც მყარი ბაზისური ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტაციას. • შეასწავლოს: მშენებლობაში გამოყენებული საშენი მასალები და ნაკეთობები, სამშენებლო ობიექტების მშენებლობის პროცესები და ტექნოლოგიები; სამშენებლო კონსტრუქციები და მისი გაანგარიშების მეთოდები; შენობა-ნაგებობის საინჟინრო აღჭურვის ელემენტები; მშენებლობაზე გამოყენებული სამშენებლო მანქანები და მოწყობილობები; სამშენებლო ობიექტების შეფასებისა და ხარჯთაღრიცხვის საკითხები. • შეასწავლოს კომპიუტერული გაანგარიშების პროგრამებით სამშენებლო ამოცანების გადაწყვეტის და დაპროექტების შესრულების მეთოდები, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. • შეასწავლოს მშენებლობის თავისებურებები, გარემოს დაცვის წესების, ეკოლოგიური სისტემებისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების გათვალისწინებით. • მოახდინოს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების საშუალებებით სტუდენტის მოტივაციის, თვითშეფასების და სასწავლო პროცესში ჩართულობის სტიმულირების ამაღლება. <p>მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც მოტივირებულია განვითარდეს პროფესიული თვალსაზრისით.</p>
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>ცოდნა და გაცნობიერება – კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო საქმის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს სამშენებლო პროცესის წარმოებას, ნაგებობების კონსტრუქციულ-გეგმარებით გადაწყვეტას, სამშენებლო მანქანა-მექანიზმების გამოყენებას; - მშენებლობისა და პროექტირების საბაზო კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების ცოდნა; - სამშენებლო სამუშაოების გარემოსთან მიმართებაში უვნებლად და უსაფრთხოდ წარმართვის ცოდნა. ტექნიკურ და გარემოსდაცვით საკითხებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაცნობიერება; - საინჟინრო პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერების მიზნით, შესაბამისი ფუნდამენტური, საბუნებისმეტყველო და ზოგადსაინჟინრო ძირითადი საკითხების ცოდნა;



- სამშენებლო ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების გაცნობიერების უნარი;
- მშენებლობის ორგანიზაციისა და მართვის, სამშენებლო კონტრაქტების სამართლებრივი საფუძვლების ცოდნა;
- სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების გაცნობიერების უნარი;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი –კურსდამთავრებულს აქვს:

- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: შენობა-ნაგებობების მარტივი ელემენტების კონსტრუირების უნარი; სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით მშენებლობისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით სამუშაოთა წარმართვის უნარი;

- ტექნოლოგიური უზრუნველყოფის საშუალებების - სამშენებლო მანქანების და მექანიზმების შერჩევის, შეფასებისა და გამოყენების უნარი;

- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით სამშენებლო ორგანიზაციის ბრიგადის მართვის უნარი სამუშაოთა მწარმოებლის მითითებების შესაბამისად;

- სოციალურ და პროფესიულ საზოგადოებაში თავისი ცოდნის რეალიზების და თვითდამკვიდრების უნარი;

- პროექტის დამუშავების და რეალიზაციის პროცესში, კვლევის ელემენტების გათვალისწინებით და ხელმძღვანელის მითითებებით, შესაბამისი მეთოდების შერჩევის უნარი, მოქმედი სამშენებლო ნორმების, რისკ-ფაქტორების, არსებული რესურსების და შეზღუდვების გათვალისწინებით;

- პროექტირების პროცესში გუნდური მუშაობის და მიღებული ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

დასკვნის უნარი –კურსდამთავრებულს აქვს:

- სამშენებლო დარგში გამოკვეთილი პრობლემების იდენტიფიცირების, სიტუაციათა შედარების, სტანდარტული მეთოდებით მათი გაანალიზებისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

- დარგობრივი ლიტერატურიდან ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;

- კომპეტენციის ფარგლებში, შენობა-ნაგებობების დაპროექტებისა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და მასალების შეგროვების, ანალიზის და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი- კურსდამთავრებულს აქვს:

- იდეების, არსებული პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების, ასევე დარგის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის გადაცემის უნარი; ქართულ და უცხოურ ენაზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

- დარგის სპეციალისტებთან მკაფიოდ და დეტალურად სხვადასხვა თემებზე დისკუსიაში მონაწილეობის მიღების უნარი;

- სამშენებლო ტერმინოლოგიის გამოყენებით საქმიანი დოკუმენტის შედგენის უნარი;

- სამშენებლო საქმეში, აზრებისა და შეხედულებების წერილობით ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად არგუმენტების მოყვანის უნარი;

- კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.



	<p>სწავლის უნარი – კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარი; - სწავლის პროცესის შესაბამისად საკუთარი განვითარების მიმართულების მართვისა და რეალიზების უნარი, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საჭიროების განსაზღვრის საფუძველზე; <p>ღირებულებები - კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო დარგის საქმიანობის, პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შეფასებისა და სხვებისთვის გაზიარების უნარი, პროფესიული ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით; - მშენებლის პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის გათავისების უნარი როგორც საკუთარი, ასევე საზოგადოების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით; - ცხოვრებისა და საქმიანობის უსაფრთხო პირობების შექმნისა და დაცვის უნარი, მათ შორის საგანგებო სიტუაციების დროს; - საზოგადოების კულტურათმორისი მრავალფეროვნების აღქმის უნარი, სოციალურ-ისტორიულ, ეთიკურ, ესთეტიკურ და ფილოსოფიურ კონტექსტში; ეკოლოგიური სისტემების გათვალისწინების, გარემოს დაცვის ვალდებულებების გათავისების და სხვებისთვის გაზიარების უნარი
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
	<p>საკონტაქტო პირი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი მალხაზ წიქარიშვილი 599 73 02 15; m.tsikarishvili@gtu.ge საინჟინრო მექანიკის და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის N101 დეპარტამენტი, მ. კოსტავას 68, I სსსწ. კორპუსი, IV სართული, ოთახი N414.</p>

<p>(ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა</p>
<p>მშენებლობა (რუსულენოვანი)</p>

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
240
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში
სწავლების ენა
რუსული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
<ul style="list-style-type: none"> • Подготовить специалиста, имеющего основы инженерно-строительного образования, ориентированного на теоретическую, практическую и проектную деятельность, в отрасли строительства, специалиста высокого уровня, который при помощи твёрдых базисных знаний и трансфертных умений сможет ориентироваться в динамически изменяющейся обстановке. • Изучить методы и механизмы выполнения основных строительно-проектных задач деятельности с применением современных технологий с соблюдением всех общепризнанных строительных норм и правил. • Изучить предусмотренные в процессе проектирования зданий и сооружений и строительства риск-факторы, чтобы суметь критически осмыслить связанные с отраслью проблемы, подготовить соответствующую документацию и принять обоснованное и надёжное решение. • Изучить правила реализации исследовательского проекта для решения проблем в строительстве также для основ научных исследований. • дать возможность приобретения хорошо структурированного практического опыта. • Сформировать в соответствующем формате умение профессиональной коммуникации. • Подготовить, в соответствии с современными требованиями, квалифицированного, конкурентоспособного, с высокой гражданской сознательностью и активностью специалиста, который будет мотивирован на достижение большего профессионализма. <p>Улучшить мотивацию студентов, ориентированного на процесс обучения, само рефлексия, а также стимулировать участие в процессе обучения</p>
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
<p>Знание и познание</p> <ul style="list-style-type: none"> _ знание базовых концепций, теории и принципов строительства и проектирования; _ умение безвредного и безопасного ведения строительной деятельности по отношению к окружающей среде. _ знание соответствующих математических методов и основ естествознания для решения инженерных проблем; _ знание элементов управления и проектирования в отрасли; _ знание и осознанное использование в процессе строительства строительных норм



и правил, комплексных вопросов технологических процессов строительства;

– Возможность использования некоторых отличительных методов для решения проблем в групповой работе над проектом.

Умение применения знаний на практике

– умение проведения работ, предусмотренных в требованиях строительного производства с учётом использования строительных норм и правил; умение конструировать простые элементы гражданских и промышленных зданий, а также гидротехнических, водоприёмных канализационных сооружений, в соответствии с определёнными указаниями;

– умение отбора, оценки и использования современных строительных машин и механизмов

– умение использования современных методов и технологий для управления строительным производством;

– умение идентифицировать, сформулировать и решить общие проблемы характерные для строительства.

Умение делать заключение

– умение поиска информации в научно-технической литературе и в интернете, её последующего анализа и принятия заключений;

– умение принять участие в проектировании зданий и сооружений, гидротехнических, системы водоснабжения и водоотведения, а также во время строительства и эксплуатации? правильная оценка риск-факторов, восприятия и формулирования выводов.

Сформируется умение делать заключение в пределах своей компетенции, для проектирование промышленных и гражданских зданий, гидротехнических, водоприёмных канализационных сооружений.

Коммуникативные умения Окончивший курс имеет:

– способность подготовки отчёта на русском и иностранном языках относительно идей, существующих проблем и путей их решения, способность устно передавать информацию специалистам и неспециалистам;

– умение принять участие в дискуссиях со специалистами отрасли на различные темы, иметь чёткую и ясную позицию;

– умение составления деловой документации с использованием строительной терминологии;

– умение формулирования мыслей и мнений в письменной форме, приводить аргументы за или против различных мнений.

Учебные умения окончивший курс имеет:

– умение последовательной и многосторонней оценки процесса собственной учёбы,

– после окончания учебной программы, окончивший курс, сможет самостоятельно управлять процессом учёбы, на основании полученных знаний самостоятельно



	<p>продолжить процесс учёбы на второй ступени обучения, (магистратура)</p> <p>Ценности окончивший курс имеет:</p> <ul style="list-style-type: none"> – способность действовать с соблюдением основных законов этики, сочетает профессиональную и этическую ответственность строителя к собственным ценностям, а также общественной безопасности и здравоохранения; – сочетает уважение к системам экологии и обязательствам защиты среды и стремится для их утверждения <p>имеет профессиональные ценности (аккуратность, пунктуальность, объективность, организации и т.д.)</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>Оценивается по 100 балльной шкале.</p> <p>Положительная оценка:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) – отлично – оценивается в 91-100 баллов; • (B) – очень хорошо – оценивается 81-90 баллов; • (C) – хорошо – оценивается в 71-80 баллов; • (D) – удовлетворительно – оценивается в 61-70 баллов; • (E) – достаточно – оценивается в 51-60 баллов. <p>Отрицательная оценка:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) – не сдал – оценка в 41-50 баллов, что означает, что студенту, для того, чтобы сдать предмет, нужно больше работать, и ему предоставляется возможность на основании самостоятельной работы еще один раз держать экзамен; • (F) – срезался – оценка в 40 баллов и меньше, что означает, что проведенная студентом работа недостаточна, и он должен изучить предмет заново. <p>Описания форм оценивания, соответствующих методов, критериев и шкал, отражены в учебных курсах образовательной программы</p>
<p>საკონტაქტო პირი პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ფატიმა ვერულაშვილი, 599 95 55 51; p.verulashvili@gtu.ge ა.სოხაძის სახ. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის 102-ე დეპარტამენტი, ქ.თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა № 68, I კორპუსი, V სართული, ოთახი № 522</p>	

<p>(ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა</p>	
<p>მშენებლობის მენეჯმენტი</p>	
	<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)</p>

240
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მენეჯმენტის ბაკალავრი
სწავლების ენა
ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
<p>მშენებლობის მენეჯმენტის პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეინარჩუნონ და განვიითარონ საგანმანათლებლო პროგრამით მღებული ცოდნა და უპასუხონ დარგის უახლეს გამოწვევებს.</p> <p>მიზანი 1: შესძინოს კურსდამთავრებულებს ტექნიკური, საინჟინრო, მმართველობითი, ბიზნეს ცოდნა და უნარები სამშენებლო ინდუსტრიაში წარმატების მისაღწევად;</p> <p>მიზანი 2: შესძინოს კურსდამთავრებულებს მშენებლობის მენეჯმენტის დარგის (პროფესიის) წინაშე მდგარი ეთიკური, სოციალური, სამართლებრივი და პროფესიული საკითხების აღქმის უნარი;</p> <p>მიზანი 3: შეუქმნას კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძვლი.</p>
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მათემატიკის, მეცნიერების ფუნდამენტალური თეზისების ანალიტიკური და კრიტიკული გააზრების უნარი, რომელსაც იყენებს სპეციალობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის, ფორმულირებისა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრისათვის; 2. მკაფიოდ და ეფექტურად კომუნიკაციის უნარი; 3. სამშენებლო პროცესების, მასალების, აღჭურვილობის და სამშენებლო მეთოდების გაანალიზების უნარი შენობა-ნაგებობების უსაფრთხო მშენებლობისთვის; 4. სამშენებლო პროცესების დაგეგმვისა და მართვისათვის საჭირო სამშენებლო დოკუმენტაციის ანალიზის უნარი; 5. პროექტების მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტების, სამშენებლო პროექტების დროის, ღირებულების და რესურსების შეფასების და მართვის უნარი; 6. სამშენებლო პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ფინანსური დოკუმენტაციის ანალიზის, პროექტის ფინანსური ეფექტიანობის მართვის უნარი;

	<p>7. შენობა-ნაგებობების საინჟინრო და კონსტრუქციული სისტემების ცოდნა, რათა ეფექტურად გაუწიოს კორდინაცია საპროექტო, სამონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესს;</p> <p>8. ბიზნესის წარმოების ძირითადი ასპექტების, სამშენებლო პროექტების და ორგანიზაციების მართვისთვის ცოდნა;</p> <p>9. სამშენებლო სფეროს გარემომცველი სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური გარემოფაქტორების ცოდნა;</p> <p>10. სამშენებლო პროექტის მართვის და კონტროლის მექანიზმების ცოდნა, წინა საპროექტო ეტაპიდან მის ექსპლოატაციაში მიღების ეტაპის ჩათვლით, ასევე განხორციელების პროცესში ჩაბმული სუბიექტების როლის და მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარი;</p> <p>11. ეთიკურ ნორმებზე დაყრდნობით პროფესიული გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარი;</p> <p>12. საკუთარი სწავლის შემდგომი საჭიროებების დადგენის, პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარი.</p>
	<p>შეფასების წესი</p>
	<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
	<p>საკონტაქტო პირი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი ვახტანგ ბალავაძე, 591 99 77 33 v.balavadze@gtu.ge მშენებლობის ეკონომიკის და მენეჯმენტის დეპარტამენტი 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68 I კორპუსი, ოთახი N 403</p>

(ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა

სამშენებლო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებები	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	240
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ შეინარჩუნონ და განვითარონ საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული ცოდნა და უპასუხონ დარგის უახლეს გამოწვევებს.</p> <p>მიზანი 1: შესძინოს კურსდამთავრებულებს სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობების ეფექტურად გამოყენების ცოდნა და უნარი დარგში ექსპლუატაციისას წარმოქმნილი პრობლემების შემოქმედებითად გადასაჭრელად.</p> <p>მიზანი 2: შესძინოს კურსდამთავრებულებს ამწე-სატრანსპორტო საშუალებების შექმნის პრინციპების ცოდნა; სამშენებლო ტექნიკის მოდერნიზაციის, გამოცდის, რემონტის, ექსპლუატაციის საკითხების მაღალ პროფესიულ დონეზე გადაჭრის უნარი.</p> <p>მიზანი 3: შეუქმნას კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი საინჟინრო და მეცნიერული განვითარების მყარი საფუძვლი.</p>
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
	<p>ცოდნა:</p> <p>1. იცნობს თანამედროვე სსტს-ის მანქანა-დანადგარების კონსტრუქციებს, აქვს შესაბამისი ფართო თეორიული ცოდნა.</p> <p>კერძოდ:</p> <p>1.1. თანამედროვე მანქანა-დანადგარების კონსტრუქციების თავისებურებების და ზოგადად მათი წარმოების ტექნოლოგიების ცოდნა;</p> <p>1.2. სსტს-ის და ზოგადად მექანიკური მოწყობილობის და სისტემების დაპროექტების, რემონტის და ექსპლუატაციისათვის საჭირო თეორიული საფუძვლების ცოდნა;</p> <p>უნარი:</p> <p>2. აქვს სსტს-ის პრაქტიკაში გამოყენების უნარი მათი ექსპლუატაციური თავისებურებების გათვალისწინებით,</p>

<p>კერძოდ:</p> <p>2.1. თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებით მექანიკური მანქანა-მოწყობილობების ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის უნარი;</p> <p>2.2. ექსპლუატაციური თავისებურებების გათვალისწინებით თანამედროვე მექანიკური მოწყობილობების ძირითადი ფუნქციონალური აგრეგატების, ამპრავების, კვანძების, მექანიზმების, ტრიბოლოგიური სისტემების პროექტირების უნარი;</p> <p>3. მოცემულ სფეროში შეგროვილი მონაცემების და სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ზოგადი (აგრეგატებზე, კვანძებზე, მექანიზმებზე) და კონკრეტული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი, კერძოდ:</p> <p>3.1. შეგროვილი მონაცემების შეჯერების საფუძველზე კონკრეტული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;</p> <p>3.2. სამშენებლო ტექნიკის სფეროში არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ზოგადი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.</p> <p>4. კომუნიკაციის უნარი ყველა სასწავლო და საინჟინრო პრობლემის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში (დარგის მასშტაბით), კერძოდ:</p> <p>4.1. კომუნიკაციის უნარი კომპიუტერული სისტემების გამოყენებით, ასევე სსტს-ის საწარმოო და თეორიული პრობლემების გადაჭრის გზების ზეპირად და წერილობით გადმოცემის უნარი;</p> <p>4.2. კომუნიკაციის უნარი ქართულ და უცხო ენებზე, ასევე ახალ ნაკეთობებზე კონსტრუქციული გადაწყვეტილების პრეზენტაციის და ცოდნის გადმოცემის უნარი;</p> <p>ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა:</p> <p>5. საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად წარმართვის მიზნით ცოდნის უწყვეტად გაღრმავების, გაფართოების და განახლების უნარი მექანიკის ინჟინერიის დარგში:</p> <p>5.1. განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელების უნარი;</p> <p>5.2. სხვადასხვა შემეცნებითი ტექნიკური წყაროების გამოყენებით დარგში ინტერესების გაფართოებისა და ცოდნის უწყვეტად განახლების უნარი.</p> <p>6. შრომის დაცვის, ეკოლოგიის საკითხების და ზნეობრივი ფასეულობების ფორმირების პროცესში მათი დამკვიდრებისადმი სწრაფვის უნარი.</p> <p>6.1. დატვირთვა-განტვირთვის და სხვა ტექნოლოგიური სამუშაოების წარმოების პროცესში უსაფრთხოების ნორმებისა და წესების, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გაფრთხილებისა და განუხრელი დაცვის უნარი;</p> <p>6.2. სამშენებლო ტექნიკით და მოწყობილობებით ბუნებისათვის ზიანის მიყენების გარეშე სამუშაო წარმოებისას, ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის უნარი.</p>
<p>შეფასების წესი</p>
<p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;

	<ul style="list-style-type: none"> • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>საკონტაქტო პირი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი მიხეილ შილაკაძე, 593 32 90 31; m.shilakadze@gtu.ge სამშენებლო მანქანების დეპარტამენტი, 0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68. I სასწავლო კორპუსი, IV სართული, 431 ოთახი</p>	

